0701/10/019

ხელშეკრულება №01/001-№3

საარქივო მომსახურების გაწევის შესახებ

თბილისი 01.02.2011წ.

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ეროვნული არქივი (შემდგომში „შემსრულებელი"), მდებარე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №1, წარმოდგენილი ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს – თბილისის ცენტრალური არქივის დირექტორის, მაკა კვარაცხელიას სახით და მეორე მხრივ, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი"), მდებარე: ელიაშვილის ქუჩა , წარმოდგენილი გამგებლის რამაზ სულამანიძის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო – თბილისის ცენტრალური არქივის მიერ დიდუბე-ჩუღურეთის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 1936-2007 წლების ხანგრძლივად შესანახ საქმეთა შენახვა 2011 წლის განმავლობაში. სულ: 3788 (სამი ათას შვიდას ოთხმოცდარვა) შესანახი ერთეული (საქმე)(CPV კოდი 79900000)

1.2 შემსრულებლის მიერ შემსყიდველისათვის გაწეული საარქივო მომსახურების საფასურის ოდენობისა და გადახდის წესის განსაზღვრა.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრება 7576 (შვიდა ათას ხუთას სამოცდათექვსმეტი) ლარისა და 00 თეთრის ოდენობით.

2.2 გაანგარიშებისას გამოიყენება „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ" საქართველოს კანონის დანართი „საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის ოდენობის შესახებ" საფასურის განაკვეთების I ნაწილის მე-12 პუნქტი.

2.3 წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2. პუნქტში აღნიშნული კანონის დანართით საქმეთა შენახვის ღირებულება დადგენილია საფასურის განაკვეთის მიხედვით, ერთ შესანახ ერთეულზე (საქმეზე) ერთი წლით - 2 ლარი (ორი) დღგ-ს ჩათვლით.

2.4 მე-2 მუხლის 2.1 პუნქტში მითითებული თანხა შეიძლება შეიცვალოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით შემსრულებლის მომსახურებით მოსარგებლე შემსყიდველი საფასურს იხდის „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

ა) უნაღდო ანგარიშსწორებით;

ბ) უნაღდო ანგარიშსწორება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 **შემსრულებელი ვალდებულია:**

ა) გაუწიოს საარქივო მომსახურება შემსყიდველს საათანადო ხარისხითა და შესაბამისი ნორმების დაცვით;

ბ) დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული დოკუმენტები დაზიანებისა და შინაარსის გაყალბებისაგან.

4.2 **შემსრულებელი უფლებამოსილია:**

მოთხოვოს შემსყიდველს ანაზღაურება „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონის 33–ე მუხლის, აღნიშნული კანონის დანართსა და წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული წესისა და პირობების დაცვით.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აუნაზღაუროს შემსრულებელს საქმეთა შენახვის ღირებულება, აღნიშნული კანონის დანართის 1 ნაწილის მე-12 პუნქტით დადგენილი საფასურის განაკვეთის მიხედვით – ერთ შესანახ ერთეულზე (საქმეზე) ერთი წლით 2 ლარი (ორი) დღგ-ის ჩათვლით.

ბ) გადაუხადოს შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1 პუნქტით განსაზღვრული თანხა, ამავე ხელშეკრულების მე-3 მუხლში დათქმულ მოთხოვნათა შესაბამისად.

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ნებისმიერ დროს გააკონტროლოს შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შესრულება და ხარისხი.

5. ფორს-მაჟორი

5.1 მხარის (მხარეთა) მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევა არ გამოიწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას თუ აღნიშნული დარღვევა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

5.2 ფორს-მაჟორული გარემოება წარმოადგენს მხარეთათვის გადაულახავ, მათგან დამოუკიდებელ პირობებს (არ არის გამოწვეული მხარეთა არასწორი ქმედებების შედეგად), რომელთა წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია, კერძოდ: ომი, ეპიდემია, კარანტინი და სხვა.

5.3 ფორს-მაჟორული გარემოების შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს, წერილობითი ფორმით.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

6.2 თუ რაიმე, წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების ინიციატორი მხარე ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წერილობითი ფორმით.

6.3 წინამდებარე ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამოც ფერხდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ შეფერხების მიზეზების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

8. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

მხარეებს შეუძლიათ ვადამდე შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება ერთ-ერთი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არშესრულების ან/და არაჯეროვნად შესრულების გამო. ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წერილობითი ფორმით, წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე არაუგვიანეს ერთი თვისა.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და ინსპექტირება

9.1 ფორს-მაჟორული გარემოების გარდა, შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, შემსყიდველი ყოველი დაგვიანებული კვირისათვის შემსრულებელს უხდის პირგასამტეხლოს წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების 0,1% -ის ოდენობით.
9.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს შემსყიდველს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.
9.3 წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების კონტროლი დაეკისროს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელს [illegible]

10. დავის გადაწყვეტა

10.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.
10.2 ურთიერთშეთანხმებით დავის გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში, ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია დავის გადასაჭრელად დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

12. დასკვნითი დებულებები

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია, განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
12.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსყიდველს, ორი კი შემსრულებელს.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსრულებელი

სსიპ – საქართველოს
ეროვნული არქივი

ტერიტორიული ორგანოს-
თბილისის ცენტრალური არქივის
დირექტორი

მ. [illegible] მ. კვარაცხელია

ლიბერთი ბანკის ც/ფილიალი
საიდ. კოდი 211358957
ანგ:№GE03LB0121160105327000
ბანკის კოდი: 220101480
თბილისი,
ვაჟა-ფშაველას გამზირი, №1.

შემსყიდველი

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის
გამგეობა

გამგებელი — რამაზ სულამანიძე

ს/ს. 202171167
[illegible]
[illegible] LBRTGE22 220101480
[illegible] GE95LB0125152101627000
(საბანკო რეკვიზიტები)

[illegible]
(მისამართი)

წერილი
სახელმწიფო შესყიდვის
(ხელშეკრულება №0701/10/019 01.02.2011 წელი)
გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებისას ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების შესახებ.

ქ.თბილისი 01 თებერვალი 2011 წელი

ვადასტურებთ, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ჩვენი მონაწილეობა ქალაქ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის წლების ხანგრძლივად შესანახ საქმეთა 2011 წლის საარქივო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

1. რაიონის გამგებელი რ. სულამანიძე

2. გამგეობის აპარატის უფროსი ა. გამყრელიძე